

## ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე

### სხდომის ოქმი N21

10.08.2018წ.

ქ. ვანი, თავისუფლების ქ. N65

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე -გიორგი ივანიაძე.

სხდომას ესწრებოდა საკრებულოს 19 წევრი: -გიორგი ივანიაძე, გელა ჩიკვაძე, ტარიელ ბარამიძე, გიგა გოგიბერიძე, კობა ტოხვაძე, გელა ვარდოსანიძე, კობა ძაგნიძე, ეთერი ჭიჭინაძე, დავით ხარძეიშვილი, თამარ შენგელია, გია ხარაბაძე, ივანე კორძაძე, ამირან ტალახაძე, ვარლამ გიორგაძე, თენგიზ დვალიშვილი, შოთა გიორგაძე, მერაბ ხურციძე, დავით ადეიშვილი, გია ოჩხიკიძე.

სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდნენ საკრებულოს წევრები: ალექსანდრე ლილუაშვილი, რამაზ არველაძე, ვლადიმერ ჭვალაძე, თამთა დვალიშვილი, ბიჭიკო პაიკიძე, ალექსანდრე ოქროპილაშვილი, ოლეგი მიქელთაძე, მალხაზ ცერცვაძე, შალვა ლორთქიფანიძე, რობიზონ ფუტკარაძე, პაატა ხურციძე, გელა ღვიტიძე, სანდრო ხურციძე, დავით კაკაბაძე, აპოლონ რამიშვილი, თორნიკე ერისთავი.(დანართი N1)

სხდომას ასევე ესწრებოდა:

საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში - ლუბა გოგოძე.

მოწვეული პირი:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის სივრცითი მოწყობის ინფარსტრუქტურის და არქიტექტურის სამსახურის უფროსი -მამუკა ნამიჭეიშვილი.

სხდომის თავმჯდომარე გიორგი ივანიაძე საკრებულოს რიგგარეშე ღია სხდომას 13<sup>00</sup> საათზე გახსნილად აცხადებს.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

**დღის წესრიგი**

1. „ვანის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმართვულობის და რეგიონული განვითარებისათვის საჭირო პროექტების შერჩევის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 9 ნოემბრის N27 51 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე.

მომხს./მამუკა ნამიჭიშვილი/

დადგინდეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოხსენებზე:

დღის წესრიგით წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა მამუკა ნამიჭიშვილმა წარმოადგინა განკარგულების პროექტი „ვანის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმართვულობის და რეგიონული განვითარებისათვის საჭირო პროექტების შერჩევის შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 9 ნოემბრის N27 51 განკარგულებაში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ მიღებული ინფორმაციის თანახმად საქართველოს რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროში არსებობს რეზერვის სახით გარკვეული თანხები, რომელთა შეიძლება მიმართული იქნას მუნიციპალიტეტებში სახვადასხვა პროექტების დასაფინანსებლად. ჩვენს მიერ შერჩეული იქნა აღნიშნული პროექტი, რომელიც მოწონებულია და კვლავ აქვს ექსპერტიზა. ეს პროექტია: „ფერეთას ადმინისტრაციულ ერთეულში, აღფართობის უბანში, შიდა მუნიციპალური მნიშვნელობის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია“.

წარმოდგენილი პროექტის მიმართ შენიშვნები არ გამოთქმულა.

შედეგების თავმჯდომარემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს:

მომხრე – 19

წინააღმდეგი – არცერთი.

გადაწყვეიტეს: დამტკიცდეს განკარგულება „ვანის მუნიციპალიტეტში ადგილობრივი თვითმართვულობის და რეგიონული განვითარებისათვის საჭირო პროექტების შერჩევის

შესახებ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 9 ნოემბრის N27 51 განკარგულებაში  
ველილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე.

(დანართი: განკარგულება N27 59).

საკითხების ამოწურვის შემდეგ საკრებულოს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.



ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სხდომის თავმჯდომარე